ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41242697**
თარიღი:**25/09/2024**

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სენაკში, რუსთაველის ქუჩა №235-ის მიმდებარედ განთავსებული მიწის ნაკვეთიდან (ტროტუარი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 44.01.31.603) 1,7 კვ.მ. ნაკვეთის და მასზედ დამაგრებული უძრავი ქონების (300 მმ-იანი ბოძი) ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.05.16წ. N15 დადგენილების, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის №005902324 (27.08.2024წ.) დასკვნის, მერიაში შემოსული 2024 წლის 17 ივლისის №19/402419973-08 განცხადების *და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 18 სექტემბრის*№40-402426270 *მომართვის* შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა *სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას* ელექტრონული აუქციონის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გასცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სენაკში, რუსთაველის ქუჩა №235-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთიდან (ტროტუარი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 44.01.31.603) 1,7 კვ.მ. ნაკვეთი და მასზე დამაგრებული უძრავი ქონება (300 მმ-იანი ბოძი, სადაც გათავსებულია კერძო საკუთრებაში არსებული P-10 ტიპის გარე განათების ელმონიტორი), 5 (ხუთი) წლის ვადით, იჯარის ფორმით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

2. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 44.01.31.603) სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასური განისაზღვროს 1650 (ათასექვსას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის :ქ.სენაკი, რუსთაველის ქ.N47).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი